ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ძველი ენები და ცივილიზაციები / Ancient Languages and Civilizations

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი / Master of Arts in Ancient Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 120 ESTC კრედიტს, რომელთაგან 20 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, 70 კრედიტი – არჩევითს (არჩევითი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი საგნის არჩევა როგორც საკუთარი პროგრამის, ისე მონათესავე პროფილის სამაგისტრო პროგრამების კურსების ჩამონათვალიდან), ხოლო 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომს.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ენებისა და ცივილიზაციის კომპლექსური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ფილოლოგიურ, ისტორიულ, ქვეყანათმცოდნეობით, კულტუროლოგიურ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით, სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას როგორც ვიწრო სპეციალობით – სიძველეთმცოდნეობის რომელიმე ქვედარგში, ასევე მომიჯნავე დარგებში. მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს 1. „მკვდარი ენების“ (არჩევით: აქადური, შუმერული, ეგვიპტური, ხათური, ხეთური და სხვა ანატოლიური ენები, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური) შესწავლას (ან არჩეულ ენაში ცოდნის გაღრმავებას, თუ მაგისტრანტს ეს ენა შესაბამისი ძირითადი ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამის, ან არჩევითი კურსების ფარგლებში სწავლების წინა საფეხურზე უკვე შესწავლილი აქვს); 2. ამ ენებზე შედგენილი სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ტექსტების ნიმუშების კომპლექსურ შესწავლას; 3. ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების ისტორიის, რეგიონის ისტორიის საკვანძო მომენტებისა თუ პრობლემების შესწავლას.
სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან, ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომებისა და ძველი ქართული კულტურის ფორმირების პროცესში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგებსა და ქვედარგებში; ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს ამავე მიმართულების დამატებითი (minor) პროგრამა.
- მისაღები გამოცდა სპეციალობაში (წერითი);
- უცხო ენა (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული). პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხო ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება – მაგისტრს გააჩნია ზოგადად სიძველეთმცოდნეობის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, პრობლემების გამოკვეთისა და მათი გადაჭრის გზების ძიების საშუალებას აძლევს. იგი იცნობს მის მიერ შერჩეული კონკრეტული ძველი ენის გრამატიკის საფუძვლებს; ამ ენებზე არსებული წერილობით წყაროებს, მათი ტრანსლიტერაციის, თარგმანისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკას; რელიგიური წარმოდგენების, კულტურის სხვადასხვა სფეროს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების უძველეს ეტაპებს. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – მაგისტრს შეუძლია ზოგადად სიძველეთმცოდნეობის სფეროში და, კერძოდ, მის მიერ არჩეულ ენასა თუ ცივილიზაციასთან დაკავშირებით კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. მას შეუძლია მის მიერ არჩეული ძველი ენიდან ტექსტის ტრანსლიტერაციისა და თარგმანის შესრულება, მისი ფილოლოგიური, ისტორიული და კულტუროლოგიური ანალიზი. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის

შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.
დასკვნის უნარი – მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა. მას აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი – მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით, ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

სწავლის უნარი – მაგისტრს შეუძლია სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება.

ღირებულებები – მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის, ტრანსლიტერაციის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფერო – კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურაში: არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში. პედაგოგიკის 60 ECTS კრედიტიანი პროგრამის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა მოიპოვოს მასწავლებლის მაძიებლის სტატუსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 1-წლიან მაძიებლობის პერიოდის და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება. აღნიშნული სპეციალობის მაგისტრს შეუძლია ასწავლოს: ისტორია, მითოლოგია, რელიგია და კულტურა. იყოს ექსპერტი ორიენტალური და მედიტერანული სიძველეების განხრით. მას უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. ირინე ტატიშვილი.

დამატებითი ინფორმაცია:

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 3
სრული პროფესორები: ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი, ჯემალ შარაშენიძე

ასოცირებული პროფესორები: თემურ თოდუა, ეკა კობახიძე, მარიკა მშვილდაძე
მოწვეული პროფესორი მანანა ხვედელიძე.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: პროგრამა ხორციელდება კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტისა და ასირიოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ძველი მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტი, ასირიოლოგიის დეპარტამენტი, კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ძველი ენები და ცივილიზაციები**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. ირინე ტატიშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს **№122/2011** დადგენილების საფუძველზე).
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვ ის მოსამზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდე ბის მოსამზადებ.**	**დასკვნითი გამოცდის**	**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**		**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი 1	10	30	60	128	8	20	4	წინაპირობის გარეშე	I		ლ.გორდეზიანი, ი.ტატიშვილი
	სიძველეთმცოდნეობის	5	–	60	49	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ლ.გორდეზიანი,

	ინტერდისციპლინარული სემინარი 2											ი.ტატიშვილი
	სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სემინარი 3	5	–	60	49	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლ.გორდეზიანი, ი.ტატიშვილი
არჩევითი კურსები – 70 კრედიტი (ECTS)												
ენები და ენათმეცნიერება – მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS)												
	ანატოლიური ენები 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ი.ტატიშვილი
	ანატოლიური ენები 2	5	30	30	45	8	9	3	ანატოლიური ენები 1		√	ი.ტატიშვილი
	ანატოლიური ენები 3	5	30	30	45	8	9	3	ანატოლიური ენები 2	√		ი.ტატიშვილი
	აქადური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ი.ტატიშვილი
	აქადური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 1		√	ი.ტატიშვილი
	აქადური ენა 3	5	30	30	45	8	9	3	აქადური ენა 2	√		ი.ტატიშვილი
	ეგვიპტური ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		მ.ხვედელიძე
	ეგვიპტური ენა 2	5	30	30	45	8	9	3	ეგვიპტური ენა 1		√	მ.ხვედელიძე
	შუმერული ენა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ჯ.შარაშენიძე
	შუმერული ენა 2	5	30	30	45	8	9	3	შუმერული ენა 1		√	ჯ.შარაშენიძე
	ხათური ენა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ი.ტატიშვილი
	ურარტული ენა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ლ.გორდეზიანი
	ლათინური ენის ინტენსიური კურსი	5	30	60	22	6	5	2	წინაპირობის გარეშე		√	ქ.აბესაძე
	ძველბერძნული ენის ინტენსიური კურსი	5	30	60	22	6	5	2	წინაპირობის გარეშე		√	ქ.აბესაძე
	ზოგადი ფონეტიკა – ფონოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		
	ფონოტაქტიკა და დიაქრონული ცვლილებები	5	30	15	60	8	9	3	ზოგადი ფონეტიკა – ფონოლოგია		√	
	ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		
	ძველი ხმელთაშუაზღვისპირეთის და ახლო აღმოსავლეთის დამწერლობათა სისტემები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ლელა ჩოთალიშვილი

ტექსტები და მათი ინტერპრეტაცია – მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS)												
	შუმერული იურიდიული და ლიტერატურული ტექსტები	10	45	45	120	16	20	4	შუმერული ენა 1	√		ჯ.შარაშენიძე
	ხეთური რელიგიური ტექსტები	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	√		ი.ტატიშვილი
	ხეთური სამართლის ძეგლები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ი.ტატიშვილი
	ხათური ტექსტები	5	30	30	45	8	9	3	ხათური ენა	√		ი.ტატიშვილი
	აქადური ენის დიალექტები	10	45	45	120	16	20	4	აქადური ენა 2	√		ი.ტატიშვილი
	ასურული ისტორიული ტექსტები (სარგონის წერილი ღვთაება აშურისადმი)	10	45	45	120	16	20	4	აქადური ენა 2		√	ი.ტატიშვილი
	ეგვიპტური ტექსტები	5	30	30	45	8	9	3	ეგვიპტური ენა 1	√		მ.ხვედელიძე
	ეგეოსური ტექსტები და მათი ინტერპრეტაცია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		ლ.გორდეზიანი, ლ.ჩოთალიშვილი
	კავკასია ლურსმულ ტექსტებში	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ლ.გორდეზიანი
ისტორია, არქეოლოგია – მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS)												
	ეგვიპტის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		მ.ხვედელიძე
	იმპერია და პოლისი	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		თ.თოდუა
	ელინიზმის ისტორია	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		√	თ.თოდუა
	ანტიკური სამყარო ეპოქათა მიჯნაზე	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		მ.მშვილდაძე
	რომი და აღმოსავლეთი	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		√	მ.მშვილდაძე
	ბიბლია როგორც ისტორიული წყარო	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	√		მ.მშვილდაძე
	ეგეოსური სამყარო და ძველი აღმოსავლეთი	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ლ.გორდეზიანი
	ტროა – არქეოლოგია, ისტორია, კულტურა	**5**	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ჯ.აფაქიძე, ლ.გორდეზიანი
	ეტრუსკული ცივილიზაცია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		√	ე.კობახიძე

არჩევითი სასწავლო კურსები სხვა პროგრამებიდან – მაქსიმუმ 25 კრედიტი (ECTS)												
	საგანი არქეოლოგიის, ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების და სხვა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამებიდან (ხელმძღვანელთან შეთანხმებით)											
	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 – ეპოსი *(ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	30	49	4	9	3	წინაპირობის გარეშე	*		პროფ. რ. გორდეზიანი
	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 – ლირიკა*(ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	30	49	4	9	3	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 – ეპოსი		*	პროფ. რ. გორდეზიანი
	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 3 – დრამა*(ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	30	49	4	9	3	ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 – ლირიკა	*		პროფ. რ. გორდეზიანი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1 / ტესტი	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი